შ.პ.ს "პალიასტომი - **2004**"
ვ. კრატასიუკის 15, 4400 ფოთი, საქართველო
e-mail: paliastomi2004@gmail.com
ტელეფონი: + 995 593 468609

ID: 215103509

**"PALIASTOMI - 2004" LTD**
15, Kratasiuki str. 4400 POTI, GEORGIA
e-mail: paliastomi2004@gmail.com
Tel: +995 593 468609

# 46/22
02.09.2022

**ხობის მუნიციპალიტეტის მერს**
**ბატონ დავით ბუკიას**

ბატონო დავით,

შეგახსენებთ, რომ შპს „პალიასტომი-2004" გეგმავს სოფელ ყულევში საკვები პროდუქციის მწარმოებელი მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობას. 05/03/2021 ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ბ50.50210642 გაცემულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში შპს „პალიასტომი - 2004" -ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი: 45.15.21.312. ; დაზუსტებული ფართობი : 59747,00 კვ.მ.) თევზის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვა. საწარმოს ფუნქციონირება დაკავშირებული იქნება გამომუშავებული პროდუქციის ქ. ფოთამდე საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის აუცილებლობასთან. ამასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ მონაცემებს საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მაქსიმალური სატრანსპორტო დატვირთვის შესახებ და შესაბამის- „ტრანსპორტის მოძრაობის გეგმა-გრაფიკს" და გთხოვთ შეითანხმოთ ეს გრაფიკი.

გამომუშავებული პროდუქცია (თევზის ფქვილი და ზეთი) გატანილ იქნება ტერიტორიიდან სატვირთო მანქანების გამოყენებით. საპროექტო ტერიტორია უშუალოდ ემიჯნება ყულევი-ხობის საავტომობილო გზას, რომელიც გამოყენებულ იქნება პროდუქციის გასატანად (ძირითადად ქ. ფოთის პორტში). საწარმოს პროდუქციის გატანის სიხშირე და გამოყენებული ტრანსპორტის რაოდენობა არ არის დიდი, რომ პრობლემები შეუქმნას ადგილობრივ სატრანსპორტო მოძრაობას. ქვემოთ, ცხრილის სახით არის მოცემული წლის განმავლობაში მოსალოდნელი ტვირთგადაზიდვების გრაფიკი მაქსიმალური შესაძლო დატვირთვისას.

**ცხრილი: წლის განმავლობაში მოსალოდნელი ტვირთგადაზიდვების გრაფიკი.**

| | ტონა | ტვირთი მანქანაზე | მანქანების რაოდ | თვეების რაოდ | მანქანა თვეში | მანქანა დღეში |
|---|---|---|---|---|---|---|
| თევზის ფქვილი | 10,455 | 20 | 523 | 6 | 87.13 | 3 |
| თევზის ზეთი | 4,195 | 24 | 175 | 6 | 29.13 | 1 |

გთხოვთ შეითანხმოთ ეს გრაფიკი წერილობით და დაგვიდასტუროთ, რომ წარმოდგენილი გრაფიკით საწარმოს ტრანსპორტის გადაადგილება არ შეუქმნის პრობლემას მუნიციპალიტეტში საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობას.

შპს პალიასტომი-2004"-ის
დირექტორი

პაატა ჟღენტი